საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 242

სამშაბათი, [illegible] ივლისი 1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

## საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ბათომის საქალაქო კომიტეტი

ამით აცხადებს პარტიულ ამხანაგების საყურადღებოდ, რომ ის ამხანაგები, რომლებიც არ არიან რეგისტრაციაში გატარებული, ვსთხოვთ დაუყოვნებლივ გამოცხადდენ რეგისტრაციაში გასატარებლად ივანე ბარამიძესთან ან სამსონ ებრაელიძესთან 3 საათიდან 4 საათამდე. ბაქოს ქ. № 70.

**ბათომის კომიტეტი.**

## განცხადება

### ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილება ამით აცხადებს,

რომ უკანასკნელი ვადა 1922 წ. საბინაო დავთრების შეძენისა არის 15 ივლის. 15 ივლისამდის ვინც არ შეიძენს საბინაო დავთარს, ის იქნება დაჯარიმებული თანახმად აღმასკომის № 4 სავალდებულო დადგენილებისა, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტი“-ს ა/წ. 22 აპრილს № 88-ში.

**სამმართველოს განყოფილება.**

**იყიდება წერა-კ. მაღაზიაში და ქვაშვეთის ქუჩაზე „სორაპანი“**

### სოფრონ გლახაშვილის თხზულებანი

I ტომი: ესკიზები, მოთხრობები და პიესები.

II „ რომანი, მოთხრობა და ნათ. პიესები.

იგავ-არაკნი საბავშვო.

„ბუნების გლოვა“ ვაჟაზე, საგუნდო სიმღერა არაყიშვილისა: რუსულად პიესა „ზორვადი“—მსხვერპლი, თარგმანი აბაშელისა, სახელმძღვანელო ს. ტარუაშვილისა: **ბუხჰალტერია** თეორიული და პრაქტიკული. ამცოტა ხანში გამოვა ქართულ ენაზე მიწერ-მოწერა 40-ის სანიმუშო წერილებით.

## კულტურული მუშაობისათვის

ჩვენი გაზეთის დღევანდელს ნომერში იბეჭდება გაზ. „ბახტრიონიდან“ გადმობეჭდილი სამართლიანი საყურადღებო ალსავსე წერილი ტიციან ტაბიძისა ჩვენში წიგნის გამომცემლობის კატასტროფიულ მდგომარეობის შესახებ. ამ მხრივ, მართლაც, ჩვენი მდგომარეობა მეტად კრიტიკულია და წიგნის გამოცემის კრიზისი, მგონებ, ყველასათვის ნათელი უნდა იყოს. აგერ წელიწადნახევარი გადის მას შემდეგ, რაც ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და ამ ხნის განმავლობაში არ გამოცემულა არც ერთი სახეირო წიგნი, არც ერთი ღირსშესანიშნავი შრომა, რომ ამით ხალხის კულტურული მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულიყოს რამდენიმედ მაინც. უფრო მეტი, არა თუ მეცნიერული დიდ-ტანიანი ტომები ვერ გამოდის ჩვენში, არამედ პატარა ბროშურებიც ყოველდღიურ და მნიშვნელოვან საკითხების შესახებ არ არის გამოცემული. ამ მხრივ, მართლაც, წიგნის სიმშილობა არის ჩვენში, რის წინააღმდეგაც საჭიროა ისეთივე სისტემატიური ბრძოლის წარმოება, როგორც სხვა სახის სიმშილობის წინააღმდეგაც.

წიგნის გამოცემის ასეთს მდგომარეობაში ჩაყენება და ამით გონებრივი შიმშილობის გამეფება არაფრით არ შეიძლება გამართლებული იქნეს ჩვენში. ჩვენი განათლების უწყება მოვალე იყო უდიდესი ყურადღება მიექცია ამ საქმისათვის და მთელი თავისი ენერგიით შესდგომოდა წიგნის გამოცემის საქმის მოწესრიგებას. ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენ ვერ დავინახეთ ასეთი ნაბიჯი განათლების უწყების მიერ გადადგმული და დღეს სამწუხარო ფაქტის წინაშე ვდგავართ. ხალხში დიდი მოთხოვნილება არის წიგნის, ხალხს სწყურია ახალი სახელმძღვანელოები და წიგნები, ბაზარი დამშეული არის ამ მხრივ და სათანადო ორგანიზაციის მიერ არ არის არც ერთი სათანადო ნაბიჯი გადადგმული.

არავისათვის საიდუმლო არ წარმოადგენს ის ხალასი დებულება, რომ ერის კულტურის აღორძინება და ხალხში თვითშემეცნების განვითარება დაჟინებით მოითხოვს შესაფერისი წიგნების გამოცემასა და გავრცელებას. უცოდინარობის ლიკვიდაცია შეუძლებელი არის, თუ ხალხს არ მივაწოდეთ წიგნები, არ მიუტანეთ გონებრივი საზრდო, არ შევიტანეთ მათში ცოდნის იარაღი. მასთანვე ახალი ხელისუფლების პრინციპები და მთელი კულტურული მუშაობა ხალხის თვითგაცნობიერებისაკენ უნდა იყოს მიმართული. კომუნიზმისა და რევოლიუციის მონაპოვარის განმტკიცება შეუძლებელი შეიქმნება, თუ ხალხს არ ავამაღლებთ კულტურულად, არ გავაღვივებთ მათში თვითშემეცნებასა და თვითგანვითარებას.

კომუნიზმი მარტო ეკონომიური ორგანიზა კი არ არის, არამედ უმაღლესად კულტურული მოძღვრება, ხალხთა თვითშემეცნებაზე აგებული. ამიტომ მთელი ჩვენი მოძღვრება, მთელი ჩვენი პოლიტიკა მოითხოვს ამ მიმართულებით დიდი მუშაობის წარმოებასა და საქმიანი ნაბიჯების გადადგმას.

ჩვენ ამდენ ხანს მრავალგვარი ფრონტი გვქონდა, მრავალის მიმართულებით ვიბრძოდით. თავგამოდებით, მაგრამ კულტურულ ფრონტზე შესაფერისი ბრძოლით არ გამოვსულვართ. სამხედრო ფრონტები, სამეურნეო ფრონტები ჩვენგან დიდ ძალასა და ენერგიის დახარჯვას მოითხოვდნენ, მთელი ჩვენი რესურსები, მთელი ჩვენი სამოქმედო გეგმები ამ მიმართულებით იყო გატარებული და ეს ფრონტები შეადგენენ ჩვენი პროგრამის საზრუნავ საგანს. ეს ასედაც უნდა მომხდარიყო. თანამედროვე იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის ხანაში, საბჭოთა რესპუბლიკებს, გარსშემორტყმულს დაუძინებელი მტრებით, არსებობა არ შეუძლიათ გარეშე სამხედრო ძალების გაძლიერებისა და მათი მუდმივ მზადებისა, ასეთივე შეიძლება ითქვას სამეურნეო ფრონტის შესახებაც. თუ ჩვენ არ გამოვასწორეთ ჩვენი დარღვეული და განადგურებული ეკონომიური ცხოვრება, არ აღვადგინეთ სამეურნეო ორგანიზაციის ნაყოფიერება, საბჭოთა ხელისუფლება წინ ვერ წაიწევს და ის ყოველთვის იქნება საშინელი კატასტროფის მოლოდინის წინაშე მდგარი. ასე, რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლების არსებობა და მისი მომავალი დაჟინებით მოითხოვს ჩვენგან ორივე ამ ფრონტით შეუჩერებლივ მუშაობის წარმოებასა და მოღვაწეობას. მაგრამ ამ გარემოებამ არ უნდა დაფაროს ჩვენი ცხოვრების სხვა დარგები და არ უნდა გამოაპაროს ჩვენს თვალ-ყურს სხვა მხარეებიც, რომელთა მოწესრიგება და სათანადო დონეზე დაყენება არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენი საერთო საქმისათვის. მასთანავე დღეს საბჭოთა რესპუბლიკები შედარებით მშვიდობიან მდგომარეობაში იმყოფებიან, ჩვენი საგარეო მდგომარეობა დღეს-დღეობით არ მოითხოვს ჩვენგან სამხედრო ენერგიის დაძაბვას. ამიტომ შესაძლებელი ხდება შინაურ აღმშენებლობით მუშაობისათვის შესაფერისი პროგრამით გამოსვლა და სათანადო მუშაობის გაშლა. ჩვენ გულდამშვიდებითა და კმაყოფილებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სამეურნეო ფრონტზე დღეს დღეობით საქართველოში საკმაოდ მოზრდილი მუშაობა სწარმოებს და ამ მხრივ ჩვენი ეკონომიური აღორძინებისათვის დიდი ნაბიჯები არის გადადგმული. მაგრამ, რამდენადაც დიდი და დამაკმაყოფილებელია დღევანდელს პირობებში მუშაობა ეკონომიურ ცხოვრების მოწესრიგებისათვის, იმდენად სუსტი და არა დამაკმაყოფილებელია ბრძოლა კულტურულ ფრონტზედ.

უნდა გულახდილად ვაღიაროთ, რომ ეს ფრონტი ყველაზე უფრო სუსტი ფრონტი არის ჩვენში. აქ არ სჩანს მაგარი ხელი და გარკვეული პროგრამა და მტკიცე ნაშთები, დრო არის ამ ფრონტსაც მოექცეს თავისი შესაფერისი ყურადღება.

ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ, თუ როგორი შიმშილობა არის გამეფებული ჩვენში წიგნების გამომცემლობის ნიადაგზედ. არ იცემა სისტემატიურად არც ახალი და არც ძველი მწერლობა. ჩვენი კლასიკები მდგომარეობით არიან დამტვერულნი და მათ ვერ შეეხო ვერც ერთი მადლიანი ხელი. ახალს მწერლობას არ აქვს საშუალება გამომჟღავნებისა და მრავალი მათგანის ნაწერები სინესტისაგან მზის უნახავი, ობდებიან ჩაკეტილ ყუთებში. არ არსებობს საშუალება მწერლისათვის გამომჟღავნებისა და ხალხთან მისვლისა. როდემდის უნდა იყოს ასეთს დათრგუნვილ მდგომარეობაში ჩვენი მწერლობა? როდის გადაიშლება მათთვის ფართო სარბიელი დაფარული შემოქმედებითი ენერგიის ასამოძრავებლად? განა წიგნის კრიზისი არ მოითხოვს ჩვენგან შესაფერისი ენერგიით ამოძრავებასა და სათანადო ინტელექტუალური ძალებითა და რესურსებით ამ ფრონტზე გამოსვლას დაუყოვნებლივ?

მაგრამ „წიგნის კრიზისი“ მხოლოდ ერთი მხარეა იმ კრიტიკულ მდგომარეობისა, რომელსაც განიცდის მთელი ჩვენი კულტურა. ამ დარგში ყველაზე ნათლად მჟღავნდება ჩვენი ჩამორჩენილობა. ბიდეთ ეხლა სხვა კულტურული დარგები ჩვენი ცხოვრების; აქაც იგივე ჩამორჩენილობა და განუვითარებლობა გადაგვეღობება წინ. ჩვენი თეატრისა და სცენის საქმე ხომ კრიტიკული და სამწუხარო არის, ქართული თეატრი კრიზისს განიცდის და თავს ვერ დაუღწევია გამანადგურებელს მდგომარეობას. ქართული ოპერა როგორც ასეთი საქართველოს დედა ქალაქში არ არსებობს და მას მხოლოდ იშვიათი სტუმრის ადგილი აქვს დათმობილი სახელმწიფო ოპერის თეატრში. ამ მხრივ უცხო ძალები საშინლად ჩაგრავენ ჩვენს სცენას და ისპობა საშუალება ქართული ოპერის და დრამის აღორძინებისათვის. მდგომარეობა პირდაპირ მოითხოვს ხელისუფლებამ სწრაფად დახმარება გაუწიოს ჩვენს დრამასა და ოპერას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თავს ვერ დააღწევს დაჩაგრულ მდგომარეობას და ვერ მიაღწევს მისი შესაფერისი ტემპით დემოკრატიზაცია, ხალხთან დაახლოვება და ხალხის საშუალებით ცისი აღორძინება. ამით ჩვენ სრულებით არ გვინდა სხვა ერების მოთხოვნილებებს ჩვენში ანგარიში არ გავუწიოთ. ჩვენ გვინდა მხოლოდ, რომ შესაფერისი დახმარებით გამოღვიძებულ იქმნას ჩვენი კულტურის მთავარი დარგები და მათი აღორძინების აუცილებელი პირობები შეიქმნეს.

კულტურული მუშაობის გაშლება და შესაფერისი ტემპებით გამოსვლა ამ დარგ ში გადაუდებელ საქმეს წარმოადგენს ჩვენი წარმომადგენლობისათვის, ეს მორიგი ამოცანებია და მის გარშემო უნდა მოხდეს დაჟინებითი სისტემატიური მუშაობა.

ჩვენი ხალხი მკვირცხლი და ცნობის მოყვარეა. მას სწყურია სწავლა-განათლება, კულტურული მოთხოვნილება დიდი არის ხალხში. ამ მხრივ ის ძლიერ დიდსა და ნოყიერს ნიადაგს წარმოადგენს კულტურული მოძრაობისათვის და ხელისუფლების მხრით შესაფერისი გეგმით მუშაობას ამ მიმართულებით დიდი ნაყოფის მოტანა შეუძლია.

ნიადაგი მზად არის და თუ ჯავნძრევით შესაფერისს ნაყოფსაც მივიღებთ.

**ხ დეგიანი.**

## რას ნიშნავს?

„ტრიბუნა“ № 236 ში ამხ. მ. ს. სწერს: „მასწავლებელი დღეს საშუალოდ იღებს არა უმეტეს 1.400 000 მანეთისა (ამაში შედის „პაიკიც“ რომელიც გამოიხატება ერთ გირვანქა პურზე)... ვგონებ საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ „საწყალ“ ხალხსაც და თუ არ გაათანასწორებთ, დაახლოვებით მაინც ეკონომიურ დ ე. წ. „Обьнешторг“ ის ტექნიკოსთან“. ეს ამონაწერი მეტად დამახასიათებელი არის და მეტად საყურადღებო. განათლების მუშაკთა ეკონომიური პირობები არა თუ ოდნავად დამაკმაყოფილებელია, არამედ სრული არარაობა, რომელიც რაღაც ირონიაა განაწამები მუშისათვის.

ამ საკითხს მარტო მუშის ინტერესის და შრომის დაცვის მნიშვნელობა არა აქვს, ამას დიდი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობაცა აქვს.

ჩვენ თვალწინ ხდება ყოველდღიური მოვლენები მუშათა მდგომარეობის ცოტათი გაუმჯობესების მაინც. სახელმწიფო არაფერს არ აქცევს ისეთ დიდ ყურადღებას, როგორც მუშათა პირობების გაუმჯობესებას. ეს სრულებით ბუნებრივია და გასაკვირიც იქნებოდა წინააღმდეგი მოვლენა, მაგრამ სამაგიეროდ მართლაც საკვირველია ის გარემოება, რომ არიან ისეთი ნაწილი მუშების, რომლისათვის ყველაზედ ნაკლებად ზრუნავს სახელმწიფო. ასეთ მუშათა წრეს ეკუთვნის განათლების მუშები.

მართლაც უცნაური მოვლენაა ჩვენს წინაშე. განათლების მუშაკთ ყოველი მთავრობა, ყოველთვის ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, ვიდრე სხვა დარგის მუშებს. მასწავლებლობამ თითქოს დაიმსახურა უყურადღებობა ყველასი და თითქოს არავითარი საჭიროებას არ წარმოადგენს იგი საზოგადოებისათვის და სახელმწიფოსთვის.

უკიდურესი მდგომარეობაა დღეს შექმნილი განათლების მუშაკთათვის. ეს გარემოება გაუმართლებელი ყოველ მხრივ. ქვეყნის კულტურული წინსვლისა და განვითარებისათვის განათლების მუშაკთა არსებული პირობები მახვილის ჩაცემას უდრის.

დღეს ჩვენ ვიცით, რომ საagitაციო პუნქტებისათვის და პოლიტიკური ბროშურების გამოცემისათვის მილიარდები იხარჯება. ჩვენ ეს საჭიროდ მიგვაჩნია და აუცილებლად, რამდენადაც აუცილებელია ხალხში პოლიტიკური ცოდნის შეტანა და გავრცელება, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ქვეყნის კულტურული აღორძინებისათვის ეს ყველაზედ უფრო სუსტი და უმნიშვნელო საშუალებაა. ამიტომ ქართული კულტურის მფარველობას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევეფარებით „აგიტპუნქტებისა“ და პოლიტიკური ბროშურების გამოცემებით.

ფრ. ენგელსმა მარქსის საფლავზე თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მარქსის დამსახურება იმაშია, რომ მან აღმოაჩინა—სანამ ფილოსოფოსობას შეუდგებოდე, მანამ საჭიროა ჭამა, სმა და ჩაცმა-დახურვაო. დღეს კი განათლების მუშაკთ ვეუბნებით, რომ მან იმუშაოს, ასწავლოს და იაზროვნოს, ხოლო რაც შეეხება ჭამა-სმას ეს საჭირო არ არისო. მართლაც, რომ დიდი განვითარების საფეხურს მივაღწიეთ.

ჩვენი სასწავლებლები და უნივერსიტეტი, მასწავლებელთა და პროსფურის არსებულ პირობებში, უფრო მეტად ფორმული დაწესებულებაა, შირმაა, ვიდრე კულტურისა და მეცნიერების ცოცხალი ტაძარი, ახალი თაობების სულიერი აღმზრდელი და ქვეყნისა და ხალხის მომავლის მომცემი.

შეუძლებელია მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ ვითომც ხელისუფლება არ გრძნობდეს განათლების საქმის ჯეროვნად დაყენების, თუ გნებავთ რევოლიუციონური ინტერესით მაინც, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხელისუფლებას ამ შემთხვევაში აქვს გარკვეული პოლიტიკური ანგარიში.

ჩვენც კარგად ვიცით, რომ განათლების მუშაკთა კადრს უმთავრესად შეადგენს ინტელიგენტური მასა, რომელიც არ არის მშრომელთა ხელისუფლების მტკიცე დასაყრდენი, მაგრამ ეს სრულებით საკმიო არ არის იმისათვის, რომ განათლების საქმე ყურადღების გარეშე დარჩეს და ხელისუფლებამ არ შეეცადოს განათლების მუშაკთა გამოყენებას.

შესაძლებელია მავნე ელემენტების სრული იზოლიაცია, საზოგადოება და მთელი ქვეყნის ხალხის გაწმენდა, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია ეკონომიური დასჯით. შევიწროება იმ მუშების, რომელსაც ვაბარებთ ხელში მთელს მომავალ ხალხისა და ქვეყნისას.

ჩვენ ვხედავთ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას და ამავე დროს მოწამენი ვართ განათლების მუშაკთა შევიწროების. ჩვენ ვხედავთ მილიარდების ხარჯვას „აგიტპუნქტებისა“ და პოლიტიკური ბროშურებისათვის და ამავე დროს ვხედავთ სასწავლებლებისა და უნივერსიტეტისადმი ნაკლებ ყურადღებას.

ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რას ნიშნავს ეს? ჩვენი კულტურისადმი საბოტაჟი?

**ხ.—ელი.**

## პრესა

ტიციან ტაბიძე „ბახტრიონი“-ს № 2—ეხება სახელმწიფო გამომცემლობის საკითხსა და სწერს:

„არც ერთ საკითხს დღეს საქართველოში არ აქვს ისეთი მწვავე ხასიათი, როგორც გამომცემლობას. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ წიგნის გამოცემის საქმე დღეს კატასტროფიულ მდგომარეობაშია. კერძოთ საქართველოში წიგნის გამოცემა მარტო წამებული ხალხის ხვედრი იყო. იმ თავითვე წიგნის ბაზარი ისეა დაყენებული, რომ შეუძლებელია გამოცემა თუ მას მეცენატი არ ყავს რაიმე სარგებელი მოიტანოს. ამის უმთავრესი მიზეზი უთუოდ ის არის, რომ ჩვენი ერი მცირეა სტატისტიკით და რაც უნდა დიდი არ იყოს მკითხველის პროცენტი მაინც ვერ შეიქნება ისეთი მდგომარეობა, რომ გამოცემას მოგება შეეძლოს“.

ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ გაზეთის და წიგნების გამომცემლობას კერძო პირები ვერ უძლვებოდენ. ჩვენში კლასიკები ჯერ კიდევ არ არიან გამოცემულნი: წ. ქ. გ. საზ. მხოლოდ შემოწირულებით არსებობდა.

„აშკარა იყო, რომ თუ გამოცემა სახელმწიფოებრივ მასშტაბში არ დადგებოდა, ისე საქმე ვერ მოწესრიგდებოდა. ამიტომ რევოლიუციის შემდეგ, როცა საზოგადოებრივ აზრს მეტი გასავალი მიეცა, საქართველოს მწერალთა კავშირმა მიმართა მაშინდელ სახალხო განათლების მინისტრს გრიგოლ ლორთქიფანიძეს, რომ გამომცემლობას სახელმწიფო ხასიათი მისცემოდა, მწერალთა კავშირი იტოვებდა უფლებას გამოცემის ავტონომიურად გამგებლობისას. ამის შემდეგ რამდენიმე თვე არ გასულა, რომ საქართველოში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება და სახელმწიფო გამომცემლობის დეკლარაცია მოხდა. მაგრამ ისე მოხდა, რომ სახელმწიფო გამომცემლობას ისეთი კაცი ჩაუდგა სათავეში, როგორც ბოგდატიევი იყო. მაშინ გამომცემლობა სრულებით შეჩერდა, რადგან უმთავრესი ტექნიკური საშუალებანი, როგორც ქაღალდი და სტამბები გაფლანგული გამოდგა“.

ქართველმა საზოგადოებამ და ავტორმაც თავის დროზე მიაქციეს გამომცემლობის საქმის კატასტროფიულ მდგომარეობას ყურადღება; მაგრამ მთელი ნახევარი წელიწადი მოუნდა იმას, რომ ბოგდატიევს მემკვიდრეობის ლიკვიდაცია მომხდარიყო. მწერალთა კავშირის დადგენილებამ, რომ სახელმწიფო გამომცემლობა დამდგარიყო საჭირო ნიადაგზე, უშედეგოდ ჩაიარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დაახლოვებით რამდენიმე თვის წინათ, რევოლუციონურმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი კერძო გამომცემლობის შესახებ, ამ დეკრეტში ნაგულისხმევი იყო უმთავრესად ორგანიზაციული გამოცემები, მაგრამ ამ დეკრეტით ჯერ არავის არ უსარგებლნია, რადგან ისეთია პოლიგრაფიული პირობები და წიგნის ბაზარიც ისეა მოუწყობელი, რომ შეუძლებელია ამ საქმეს ვინმე ხელი მოკიდოს. მაშინ, როცა სტამბები უმნიშვნელო ადგილებში იგზავნებოდა, როგორც თელავი და გორი, სრულიად საქართველოს მწერალთა და ხელოვანთა კავშირებს სტამბა არ აქვთ და უმუშევარ მწერალთა რიგები თანდათან იზრდება, ამიტომ ხდება, რომ თუ საბჭოთა კონსტიტუციამ პირველად აღადგინა მწერლობა, როგორც პროფესია და ბევრი მწერალი, რომელნიც წინათ ბანკებში, კოოპერატივებში და ერობებში მუშაობდენ, დაუბრუნდენ მწერლობას, დღეს ლოგიკით ეს პროცესი უკუღმა ტრიალდება და მწერლები სტოვებენ მწერლობას და სხვაგან ეძებენ სამუშაოს.

თუ ამას დაუმატებთ კიდევ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, როცა მწერლობისთვის სპობს საბჭოთა კონსტიტუციის გარანტიებს, აშკარა იქნება, რომ თუ საქმეს ეხლავე არ მიექცა ყურადღება ქართული წიგნი სამუდამოდ მოისპობა, კაზმულ მწერლობას რომ თავი დავანებოთ, შესაძლებელია სექციებიდან, როცა აკადემიური წელიწადი დადგება ჩვენ ისევ დაუბრუნდეთ იმ პირველ ყოფილ დროს, როცა წერა კითხვას შეეჩვე ასწავლიდენ წინანდელი ოსტატები შეგირდებს, რადგან სახელმძღვანელოებიც არ იბეჭდება. ამ საკითხს მეტად დიდი სახელმწიფოებრივი და ეროვნული ხასიათი აქვს, თუ ამ თავითვე ამას დიდი ყურადღება არ მიექცა, შესაძლებელია საქმე ისე გაფუჭდეს, რომ შემდეგ ამის გამოსწორება ძნელი იქნება. მართალია, სახელმწიფოს აქვს თავისი მაზრები და თავისი აპარატიც აქვს თავის გამოცემებისთვის, მაგრამ კულტურისთვის საპიროა ისეთი ობიექტიური ღირებულების აღდგენა, როგორც მწერლობაა საზოგადოდ“.

ცენტრალურმა აღმასკომმა შეადგინა პასუხისმგებელ პირთაგან კომისია, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს სახელმწიფო გამომცემლობის საქმე.

„ჩვენ გვგონია, რომ კომისია უნდა პირველად დაინტერესდეს, რომ მწერალთა მასამ და მათმა ორგანიზაციებმა მიიღონ ამ საქმეში მონაწილეობა; კომისიამ ანგარიში უნდა გაუწიოს, რომ უმთავრესი ელემენტი გამომცემლობის მწერლები და სპეცები იყვნენ კურსში, რა ხდება სახელმწიფო გამომცემლობაში. მათ აქვთ დიდი გამოცდილება და ახლო იცნობენ ამ საქმეს. სანამ არ მოხდება, ისე რომ ეს დაინტერესებული ხალხი არ შევლენ ვითარებაში, მანამ, შეუძლებელი იქნება სახელმწიფო გამომცემლობის მოწყობა. და ის კრიზისი, რომელიც დღეს არსებობს, მივა თავის ლოგიკურ დასკვნამდე და საქართველოში წარსულის ხსენება არ იქნება“.

# დიდი არაბისტანის ქვეყნები

(სირია, პალესტინა, მესოპოტამია, არაბეთი)

1914—18 წლის მსოფლიო ომმა და რუსეთის დიდმა რევოლუციამ შეარყია აღმოსავლეთის ქვეყნებიც. დიდი არაბისტანი გეოგრაფიული სახელია და ეწოდება იმ ქვეყნებს, რომელთაც უჭირავს ტერიტორია არაბეთის ნახევარკუნძულისა და მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი.

მსოფლიო ომამდე ეს ქვეყნები ეკუთვნოდენ ოსმალეთს, მაგრამ სუსტი კავშირი ჰქონდათ მასთან, განსაკუთრებით არაბეთის ნახ. კუნძულის მომთაბარე მცხოვრებლებს.

დიდი არაბისტანის მოსახლეობის მთავარ მასას შეადგენენ არაბები. ამათი კულტურული ცხოვრება დაიწყო ორი ათასი წლის წინად, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო შეჩერდა და ძლივს ვითარდება.

არაბებში წარმოიშვა ისლამი, მოძღვრება მაჰმადისა. ეს რელიგია ძლიერ დიდ როლს თამაშობს აღმოსავლეთის ხალხთა შორის.

500 წლის წინად ოსმალები შეიჭრენ არაბთა ქვეყნებში, მაგრამ როგორც კულტურულად უფრო ჩამორჩენილი, განიცადეს მათი კულტურული გავლენა.

არაბ-ოსმალთა შორის ხშირად ამტყდარა უთანხმოება და მიხვლიათ შეიარაღებული შეტაკებანი. დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის იდეას ბევრი იზიარებდა.

ამ გარემოებით ისარგებლეს ინგლისსაფრანგეთმა და შეპირდენ არაბებს სრულ დამოუკიდებლობას. ომის დროს კი მოახდინეს ოკუპაცია არაბისტანის. ამ მიზეზების გამო არაბთა უმრავლესობა იბრძოდა ანტანტის მხარეზე ოსმალეთის წინააღმდეგ.

დამარცხებული ოსმალეთი 1920 წ. აგვისტოს 10 ხელს აწერს სევრის ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც არაბებით დასახლებული ქვეყნები ითვლებიან ოსმალეთისაგან სამუდამოდ განთავისუფლებულად სევრის ხელშეკრულობას არ სცნობს ანგორაში შემდგარი ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის ნაციონალისტური მთავრობა. ეს პროტესტს აცხადებს ფრაკიის და კილიკიის ჩამოშორებისათვის აგრეთვე, დამოუკიდებელი დიდი სომხეთისა და დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნის წინააღმდეგ, მაგრამ თითქოს ურიგდება არაბეთის ნახევარ კუნძულის და მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილის დაკარგვას, ვინაიდან ეს ტერიტორია დასახლებულია არაბებით და არა ოსმალებით.

მაგრამ ოსმალეთისაგან დამოუკიდებელი არაბები მოექცნენ ანტანტის ბრჭყალებში, რომლის საოკუპაციო ჯარები იცავენ ევროპის კაპიტალის იმპერიალისტურ ინტერესებს არაბისტანში. ამან უკანასკნელ დროს გამოიწვია არაბებში დიდი წინააღმდეგობა. გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა ადგილობრივ მცხოვრებთა და უცხოელებს შორის. ხალხი ვერ ურიგდება ინგლის-საფრანგეთის ძალადობასა და უსამართლობას. აჯანყებები ხშირდება და იმპერიალისტები იძულებული ხდებიან მეტი ყურადღება მიაქციონ დაწყებულ საშიშ მოძრაობას.

არაბებით დასახლებული ტერიტორია იყოფა შემდეგ სახელმწიფოებად: 1—სირია, 2—პალესტინა, 3—მესოპოტამია და 4—არაბეთის ნახევარი კუნძული.

## სირია.

სირია მდებარეობს ხმელთა შუა ზღვის პირას და მისი საზღვრებია: ჩრდილოეთით ანატოლია, აღმოსავლეთით—მესაპატამია მდინარე ეფრატის გასწვრივ, დასავლეთით—ხმელთა შუა ზღვა და სამხრეთით—პალესტინის საზღვარი.

სირიის მანდატი საფრანგეთს აქვს და იმყოფება მისი სამხედრო ოკუპაციის ქვეშ. გარეგნულად ქვეყნის მართვა-გამგეობა გადაეცა სირიელებს, მაგრამ ფაქტიურად ძალა-უფლება არის საფრანგეთის საგანგებო კომისარის, გენერალ გუროს ხელში. გაბატონებულია არაბული ენა. მცხოვრებთა რიცხვი დაახლოვებით 3 მილიონია დ უმრავლესობა მუსულმანები (56 პროც. მცხოვ.) ქრისტიანებია—30 პროც., ებრაელები—14 პროც. და სხვ.

მართვა-გამგეობის მხრით სირია გაყოფილია 6 რაიონად ანუ 6 მმართველობად: 1—**დიდი ლიბანის** მართველობა—ქ. ბეირუთში, 2—**დამასკის** მმართველობა, ქალაქ დამასკოში;

3—**დროზის მთების** მართველობა—ქ. სუვეიდაში,

4—**ალევიტთა** მართველობა—ქ. ლოგაკიაში,

5—**ალეპოს** მთავრობა—ქ. ალეპოში,

6—**თურქმენების** მართველობა—ქ. ალექსანდრეტაში

ფრანგების რეჟიმი მძიმედ აწვება ხალხს და იწვევს მღელვარებას.

## პალესტინა.

პალესტინის საზღვრებია: ჩრდილოეთით სირია, დასავლეთით—ხმელთა შუა ზღვა. აღმოსავლეთით—არაბეთის უდაბნო და სამხრეთით გეჯასის მხარე.

პალესტინა ინგლისის გავლენის ქვეშაა და უჭირავს ინგლისის საოკუპაციო ჯარებს. მთავრობის სათავეში სდგას ინგლისის კომისარი **გერბერტ სამუელი**. ქვეყანა გაყოფილია ორ მთავარ რაიონად: 1—იერუსალიმის და იორდანის გაღმა ოლქები წარმოადგენენ პალესტინის მართველობას; 2—მკვდარი ზღვის და მდ. იორდანის აღმოსავლეთით მდებარე რაიონი შეადგენს **აღმოსავლეთ იორდანის მმართველობას**.

მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს მუსულმან არაბები, მაგრამ ბევრია ებრაელებიც, რადგან პალესტინაში მათი წმინდა ადგილებია.

ინგლისი და ამერიკა მხარს უჭერენ, რომ პალესტინა გადაიქცეს მთელი ქვეყნის ებრაელთა ეროვნულ ცენტრად. მაგრამ ადგილობრივი მუსლიმან არაბები და ქრისტიანები ამის წინააღმდეგი არიან, თუმცა ებრაელები მაინც თავს იყრიან პალესტინაში ყოველი მხრიდან და მიისწრაფვიან განახორციელონ სიონიზმის იდეალები.

პალესტინის ცენტრია იერუსალიმი. არის აგრეთვე სხვა დიდი ქალაქებიც: იაფა, ხაიფა, ნაბლუსი და სხ.

შინაგანი მართველობა ადგილობრივ მცხოვრებთა ხელშია, მაგრამ ინგლისი ათვალთვალებს და კონტროლს უწევს.

**აღმოსავლეთ იორდანის** ტერიტორია დასახლებულია უმთავრესად მომთაბარე ხალხებით (ბედუინები). ინგლისმა უმაღლესი ძალა-უფლება ამ ყრუ და ველურ ქვეყანაში გადასცა გეჯასის მეფის ჰუსეინის—**ემირ აბდულახ**, მაგრამ ფაქტიურად განაგებს ინგლისის პოლკოვნიკი—**ლაურენსი**.

## მესოპოტამია (ირაქის სამეფო).

ეხლანდელი მესოპოტამია არაა მომწყვდეული ტიგრისა და ეფრატს შორის როგორც ძველად, არამედ გაცილებით უფრო ვრცელია. ჩრდილოეთით მას საზღვრავს ანატოლია, აღმოსავლეთით—სპარსეთი, დასავლეთით—სირია და არაბეთის უდაბნო, სამხრეთით—სპარსეთის ყურე. მოსახლეობა აღწევს 3 მილიონს; ამათგან 60 პროც. არაბებია, 14 პროც. ქურთები და თურქმენები; არიან აგრეთვე მისა სპარსელები, ებრაელები, სირიელები, სომხები და სხვ.

მესოპოტამია შესდგა ოსმალეთის ყოფილი სამი ვილაიეტისაგან ბაღდადის, ბასორას და მოსულის. პირველი ორი შეადგენს ქვემო მესოპოტამიას (ანუ ირაქს), უკანასკნელი—ზემო მესოპოტამიას (ჯეზირე).

## (დიდი არაბისტანის ქვეყნები)

მხარე დაიკავა ინგლისელებმა ჯერ კიდევ ომის დროს და დღემდის ჰყავს იქ საოკუპაციო ჯარები. პირველად მესოპოტამიის მმართველად დანიშნეს ინგლისელებმა აღმოსავლეთ იორდანის ეხლანდელი მმართველი—ემირი აბდულა, მაგრამ ხალხის მღელვარებამ, აჯანყებამ და 4 წლის ბრძოლამ აიძულა გადაეყენებინათ ის.

1921 წ. აგვისტოს 23 გამოაცხადეს და აკურთხეს ირაკის მეფად გეჯასის მეფის ჰუსეინის მეორე შვილი—**ემირი ფეისალი**. ფაქტიურად კი ირაქს განაგებს საგანგებო კომისარი ინგლისისა— **რეს კაკსი**.

ვერც ახალი მეფის დანიშვნამ და ვერც საოკუპაციო ძალების იქ ყოფნამ ვერ მოსპო მესოპოტამიაში ხალხის მღელვარება.

## არაბეთის ნახევარკუნძული.

მეწამული ზღვის ნაპირების გარდა მთელი არაბეთი წარმოადგენს გახურებულ უდაბნოს და დასახლებულია მომთაბარე ტომებით (ბედუინები).

არაბეთში რამდენიმე რაიონია, ანუ საემირო. ესენი არ წარმოადგენენ სახელმწიფოს გარკვეული ტერიტორიით და მართვა-გამგეობის განსაზღვრული სისტემით. უმთავრესად ესენია გაერთიანება რამდენიმე თემისა, ან ტომის, რომელიც ებრძვიან მეზობელ ტომებს.

ამ საემიროებს შორის უფრო მნიშვნელოვანია: **გეჯასი, იემენი, სასულთანო ნეჯდი, ადენი, ომანი**. ქუვეიტი და სხვა წვრილი ნახევრად დამოუკიდებელი ოლქები.

გეჯასის საზღვრებშია მუსულმანთა წმინდა ქალაქები—**მექა** და **მედინა**. მას განაგებს მეფე შერიფი ჰუსეინი. გეჯასი ომის დროს გაიარაღებულ იქნა დამოუკიდებლად და მჭიდრო კავშირი აქვს ინგლისის მთავრობასთან პოლკოვნიკ ლაურენსის საშუალებით.

**ნეჯდის** სასულთანოს არა აქვს გარკვეული საზღვრები და შესდგება მეომარ ტომებისაგან იბნ-საუდის მეთაურობით, რომელიც ჯერ კიდევ ომის დროს გამოაცხადა თავის-თავი სულთანად ინგლისის ნებართვით. ღებულობს ინგლისიდან წლიურად 80 000 გირვანქა სტერლინგს. ნეჯდი ყველაზე უფრო დიდი სახელმწიფოა არაბეთისა, მაგრამ ჰყავს 100.000 მდე მოსახლეობა.

ის მუდამ საომარ განწყობილებაშია ან გეჯასთან, ან ირაქთან ან კიდევ რომელიმე სხვა მეზობელ ტომთან. შესაძლებელია ამის მიზეზი ინგლისის პოლიტიკაც იყოს, რომელსაც ეშინია უფრო დიდი სახელმწიფოს წარმოშობისა, რომელიც შეასრულებდა ინგლისის გავლენას მთელ არაბეთში.

ამრიგად ტერიტორია, რომელიც ოსმალეთს ეკუთვნოდა და დასახლებულია უმთავრესად არაბებით, დაყოფილია დღეს მრავალ „დამოუკიდებელ“ წვრილ სახელმწიფოებად და იმყოფებიან „იმპერიალისტურ სახელმწიფოების ხელში. პოლიტიკური და ეკონომიური ჩაგვრა და აგრეთვე საოკუპაციო ჯარების ჰქმნიან უკმაყოფილების ატმოსფერას და, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გამოიწვევს ძლიერ აფეთქებას.

ალი.

(„ვ. ბ.“)

# ეს-ერების პროცესი

**მოსკოვი. 10 ივლისი.** (დასაწყისი არ არის მიღებული). . ციმბერის გლეხთა კავშირის შესახებ ჩვენებას იძლევა ბრალდებული იანატიევი, საინიციატივო ჯგუფმა, რომელშიც შედიოდენ სახალხო სოციალისტები და ესერები, შეიმუშავა გლეხთა კავშირის პროგრამა. გლეხობის მოძრაობის სათავეში უნდა ჩამდგარიყო შეიარაღებული რაზმები, შემდგარი უფრო აქტიური გლეხებისაგან. ბრძოლა უნდა წარმოებულიყო ორი მიმართულებით: მშვიდობიანი გზით და შეიარაღებული გამოსვლებით. აპრილის ბოლო რიცხვებში საინიციატივო ჯგუფის წევრები გაემგზავრენ ადგილობრივ სამუშაოდ (გამოტოვებულია) .... აწარმოებდა სწორეთ იმ გზით, რომელზედაც იგი მოგახსენებდით. სხდომის დასასრულს პიატაკოვმა წინადადება მისცა მხარეებს გამოსთქვან თავისი აზრი იმ დოკუმენტების საქმეებზე ჩართვის შესახებ, რომელნიც ეხებიან საზღვარ-გარეთელ ესერების მუშაობას. გოცი კატეგორიულ პროტესტს აცხადებს ამ დოკუმენტების საქმეში ჩართვის წინააღმდეგ, რადგანაც იგი ფიქრობს, რომ შეუძლებელია იმ დოკუმენტების ჩართვა, რომელნიც ეხებიან საზღვარ-გარეთელ ესერების მოღვაწეობას, რომელთანაც მათ კავშირი არ ჰქონებიათ. სახელმწიფო ბრალმდებელი კრილენკო აცხადებს, რომ ამ დოკუმენტებიდან ნათლად სჩანს საზღვარ-გარეთელ ესერების მუშაობა, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა მთავრობის დ მხოობისაკენ. ეს დოკუმენტები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება არ ჩაერთოთ ამ საქმეში, თუ ბრალდებულები განაცხადებენ, რომ არავითარი კავშირი მათ არ აქვთ ჩერნოვთან, რომელნიცა ასეთი განცხადება (გამოტოვებულია)... აქვს პირდაპირი კავშირი საქმესთან.

ტრიბუნალმა დაადგინა ეს დოკუმენტები ჩაერთოს საქმეში.

ამის შემდეგ გოცი აცხადებს, რომ ამ საქმეების შესახებ ბრალდებულები ვერავითარ განმარტებას ვერ მისცემენ სასამართლოს და სასამართლოს სხდომების ამ ნაწილში ისინი მონაწილეობას არ მიიღებენ და უარს აცხადებენ აგრეთვე ამ სხდომებზე დასწრებაზედაც.

ტრიბუნალის სხდომა შეწყდა ორშაბათამდე.

# გერმანიის ამბავი

## არ ხცხრებიან

**ნაუენი 6 ივლისი.** გერლინზე თავდასხმის გამო უმაღლეს ჯილდოს შეპირდენ მას ვინც დაიჭერს ლეიტენანტ ვალტერსა და ანკერმანს. ორივე ეს პირი ეკუთვნიან მონარქისტულ საიდუმლო ორგანიზაციას.

## მანიფესტაცია

**ბერლინი, 6 ივლისი.** მანიფესტაციამ ბერლინში ძალიან გრანდიოზული ხასიათი ქონდა. არის ცნობები, რომ ასეთივე მანიფესტაციები გაიმართა გერმანიის სხვა დიდ ქალაქებში. გაზ. „ტანის“ აზრით, ბერლინის მანიფესტაცია მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ იგი მართლაც მოხდა ხალხის ინიციატივით.

## ქუჩების სახელის გამოცვლა

**ბერლინი, 6 ივლისი.** მიუნხენსა, შტუტგარტსა და დიუსელდორფში მანიფესტაციის დროს, მანიფესტანტებმა ლიუდენდორფისა და ჰინდენბურგის ქუჩებს ერცბერგისა და რატენაუს სახელი უწოდეს.

## რამდენი მარკა გადიხადა გერმანიამ.

**ნაუენი 6 ივლისი**, საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა დეპუტატთა პალატაში განაცხადა, რომ ზავის ჩამოგდების დღიდან 31 მარტამდე გერმანიამ გადიხადა 4 944.000,000 მარკა ოქროთი, რომლიდანაც საფრანგეთს ერგო 1 მილიარდი 895 მილიონი მარკა.

## გერმანიის ამბების გამო.

**ნაუენი 7 ივლისი.** რესპუბლიკის თავდაცვის კანონპროექტის პირველი კითხვის დროს რეიხსტაგში გერმანიის სახალხო პარტიის ლიდერმა სტრეზემანმა განაცხადა, რომ რესპუბლიკა არის გერმანიისათვის ერთად ერთი შესაფერი ფორმა მმართველ-გამგეობისა.

გაზ. ფორვერტსის აზრით მთავრობას არ უნდა ეშინოდეს ნაციებისადმი მიმართვისა. ნაციონალისტური პარტიის ბევრმა წევრებმა გამოსთქვეს სურვილი სახალხო პარტიისათვის მხარის დაჭერისა თუ რომ ნაციონალური პარტია არ გაანებებს თავს ყოველგვარ პოლიტიკურ ავანტიურებს.

## დომბალის პროცესი.

**მოსკოვი 7 ივლისი.** გაზეთი „რაბოტნიკში“ მოყვანილია ანგარიში დომბალის პროცესის მესამე დღის შესახებ გაზეთი სწერს, რომ სასამართლოს წინაშე ჩნდებიან მოწმეები პოლონეთის დემოკრატიული პარტიის წევრები, რომელთაც არ ესმით ამ პროცესის მნიშვნელობა და ვერ გაუგიათ ამ პროცესის საზოგადოებრივი და პოლიტიკური საკითხებში.

ქალაქის საბჭოს ხმოსანი დეპიატოვსკი იმდენათ ერთი მეურის საწინააღმდეგო ცნობებს იძლევა, რომ სასამართლომ იგი შეაჩერა.

მიტინგის ყოფილი თავმჯდომარე იაგიელოვსკი აღნიშნავს, რომ დომბალის სიტყვა უფრო მიმართული იყო პოლონეთის სოციალისტური პარტიის წინააღმდეგ ვინემ მთავრობის წინააღმდეგ იაგიელოვსკის არ მიაჩნდა საჭიროდ ორატორის გაჩერება.

დომბალის საარჩევნო ოლქიდან გამოწვეული მოწმეები აქებენ მას, როგორც საზოგადო მოღვაწეს.

გაზეთი „რეჩ პოსპოლიტა“ ათავსებს რა დომბალის ჩვენებას აღნიშნავს იმით რომ დომბალი არ უარყოფდა თავის სოციალური რევოლუციისადმი მიდრეკილებას, მაგრამ იგი განცხადებას სასამართლოში უნდა შევხედოთ ისე, როგორც შეთქმულობას. სასამართლოს, რომელსაც სურს იხელმძღვანელოს მეფის კოდექსით, არ შეუძლია უარყოს კომუნისტური მოძრაობის მასიური ხასიათი და დაახშოს ხალხის მასების ნებისყოფა.

მოწმე ლანცუცკი ამბობს, რომ დომბალი თავის სიტყვაში ლაპარაკობდა საზოგადოებრივი კაპიტალიზმისა აუცილებლობისა და სახელმწიფოთა შორის ანტაგონიზმის გაძლიერების შესახებ.

## პოლონეთის პროფკავშირთა შორის.

**მოსკოვი 7 ივლისი.** პოლონეთის პროფ-კავშირთა საბჭომ გადაწყვიტა შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართოს, რომელშიაც იგი პროტესტს აცხადებს საბჭოს შენობაში ჩხრეკის მოხდენის წინააღმდეგ.

— მქსოველთა პროფკავშირების მთავარმა სამმართველომ გადაწყვიტა მოთხოვნილება წარუდგინოს მეპატრონეებს, რომელშიც იგი მოითხოვს სამუშაო ხელფასის 50 პროცენტით გადიდებას. წარმოების მეპატრონენი უარყოფს ეს მოთხოვნილება. დადგენილ იქნა გამოაცხადონ გაფიცვა მთელ საქსოვ მრეწველობაში 7 ივლისიდან.

## ერთა ლიგა.

**ბერლინი 7 ივლისი.** ერთა ლიგის ივლისის სხდომებს ლონდონში ექნება განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგანაც მასზე გაირჩევა საკითხი მანდატების შესახებ, რომელიც ირჩეოდა შეერთებულ შტატებთან ერთად.

## გერმანიის ფინანსები.

**ნაუენი. 8 ივლისი.** ბრიტანეთის მთავრობის წევრები ჩაფიქრდა გერმანიის მდგომარეობამ, რადგანაც მარკას კურსი კვლავ დაეცა. ფიქრობენ, რომ მარკას კურსის ამ ახალ დაცემას შეუძლია სერიოზული შედეგები გამოიწვიოს კაბინეტს სწამს, რომ გერმანიის მთავრობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გაუძლოს გერმანიის ფინანსებს, თუ საკონტრიბუციო მოთხოვნილებათა შემცირებასა და ვერსალის ხელშეკრულობის გადასინჯვასაც და ნ ყოფილიდ დამთავრებება.

## გერმანიის ალიანსი.

**ნაუენი. 7 ივლისი.** გერმანიის საერთო ელექტრონური კომპანიის დირექტორმა დეირმა გ. ზეთ „ვესტმინსტერ გაზეთის“ თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მას ძალიან ძალიან მცირე იმედი აქვს გერმანიის აღორძინებისა და ფიქრობს, რომ გერმანიაც დაადგება ავსტრიის გზაზე.

## ერთიანი ფრონტის შესახებ.

**მოსკოვი 7 ივლისი.** სამი სოციალისტური პარტიის მთლიანი ფრონტი უკვე დაიშალა. გაზეთი „ფორვერტსი“ იტყობინება, რომ პროფკავშირთა ხელმძღვანელი ორგანოები უარს ამბობენ კომუნისტებთან მუშაობაზე. გაზეთმა დაიწყო ახალი კამპანია კომუნისტების წინააღმდეგ და დაბეჭდა დამოუკიდებელ სოციალისტის გერცის წერილი, რომელიც ამტკიცებს, რომ დემონსტრაციის დროს კომუნისტები ავრცელებდენ ფურცლებს დამოუკიდებელთა საწინააღმდეგოთ.

# ახლო აღმოსავლეთი

## შეთანხმებისაკენ.

**ანგორა, 14 ივლისი.** გაზ. „ენიჰიუნის“ ცნობით, ანატოლიის ოსმალეთსა და სირიის შორის სწარმოებს მოლაპარაკება საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ როლს, რომელსაც თამაშობს საფრანგეთი სირიაში, მოსალოდნელი იქნება, რომ შეთანხმებას ხელს მოაწერენ უახლოეს დროში.

**კონსტანტინეპოლი და ანგორა.**

**ანგორა,** 14 ივნისი. გაზ. „ენიჰიუნის“ კონსტანტინოპოლის კორესპონდენტი სწერს: ამ უკანასკნელს ხანებში კონსტანტინეპოლში მყოფი ანტი-ქემალისტური წრეები იჩენენ ძლიერ დიდ მოქმედებას. სწარმოებს კერძო ფარული მოლაპარაკება „გურიეტე ვე-იტილაფის“ („თავისუფლება და შეთანხმება“) პარტიის ცეკას შენობაში, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ ამ ცოტა ხნის წინად ანატოლიის საზღვრებიდან გაქცეული პირებიც. ამ თათბირის შედეგია მემორანდუმი, გამომუშავებული ოპოზიციის მიერ, რომელიც გაუგზავნეს სულთანს, პორტას, ანტანტის უმაღლესს კომისრებს კონსტანტინეპოლში; ავტორები ხელს აწერენ როგორც „წარმომადგენელნი ოსმალეთის ნაციისა“. მემორანდუმი ანატოლიის მოძრაობას ლანძღვით იხსენიებს.

რაც შეეხება ზავის საკითხს, ამის შესახებ ამბობს: „ანატოლიას არ შეუძლია ჩამოაგდოს ზავი ოსმალეთის სახელით. სულთანი ემხრობა იმას, რომ სრულ-უფლებიანობა ამ საკითხში ეკუთვნის მხოლოდ ბრწყინვალე პორტას, რომელიც შეუდგება მოლაპარაკებას საზავო ხელშეკრულების დასადებად. ზავის ხელის მოწერა შეუძლია მხოლოდ სულთანს, ანატოლიას კი არ შეუძლიან მიიღოს სხვა ზავი, თუ არ ფადი-შახის მიერ ხელმოწერილი“. აღსანიშნავია, რომ ამას წინად ათინას ტელ. სააგენტოს ცნობები ანატოლიის შესახებ, სადაც ანგორის მთავრობა მონათლული არის ბანდიტებად და მეამბოხეებად, სავსებით შეფარდებულია, როგორც თარიღით, ისე შინაარსითაც „გურიეტ ვე იტილაფ“-ის პარტიის მემორანდუმთან. ოპოზიცია ამით არ კმაყოფილდება: მას განზრახვა აქვს ხელში ჩაიგდოს უფლება მთელს ოსმალეთზე, იარაღის ძალითაც კი. ოპოზიციის გეგმის საფუძვლები ასეთია: თუ ოსმალეთის დიდი ნაციონალური საბჭოს მთავრობა თანაგრძნობით შეხვდება მოკავშირეთა წინადადებას ზავის შესახებ, მაშინ იტილიაფისტები ყოველგვარის საშვალებით შეეცდებიან ხელი შეუშალონ იმას, რომ ბერძნების ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონები შეუერთდნენ ანატოლიას. შემდეგ, როგორც კი ბერძნებისაგან გაწმენდილი ოლქები შეუერთდებიან კონსტანტინეპოლის მთავრობის ტერიტორიას, უკანასკნელი გადასდგამს გადამჭრელ ნაბიჯს—გამოაცხადებს ანგორის მეჯლისს (ო. დ. ე. ს.) გაუქმებულად. იმ შემთხვევაში, თუ ბერძენ-ოსმალეთის ომი გაგრძელდება, კონსტანტინეპოლში შესდგება ახალი გარკვეული ანტიქემალისტური კაბინეთი, დაბად-ფერი ფაშის კაბინეთის მსგავსი, რომელიც ჩამოაგდებს ზავს ბერძნებთან და ანტანტასთან მოკავშირე სახელმწიფოების უკანასკნელ პრელიმინარიის საფუძვლებზე. ამ დროისათვის გამოცემული იქნება პროკლამაცია სულთან-ხალიფისა მუსლიმანურ ქვეყნებისადმი. რომელშიაც აღნიშნულ იქნება ანგორის მთავრობის პირადი ანგარების მიზნები, რომელსაც თითქოს მისდევენ უკანასკნელნი ხალხისათვის დამღუპველ ომის გაგრძელებით. „ყოველივე ეს—დაასკვნის კორესპონდენტი—ხდება ინგლისელების კარნახით“.

# უცხოეთი

**პოლონეთში.**

**მოსკოვი.** 9 ივლისი. გაზეთი „რიჩ პოსპოლიტა“ იტყობინება, რომ პოლონეთის სეიმში გამოსვლის დროს სლივინსკიმ ნამდვილი მარცხი განიცადა.

იმ ფრაქციების წინადადება, რომელნიც იცავენ სლივინსკის, დეკლარაციის შესახებ კამათის გადადების თაობაზე,— უარყოფილ იქნა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ სლივინსკის სეიმში უმრავლესობა არა ყავს. თვით დეკლარაციას გაზეთები ახასიათებენ, როგორც სამარცხვინოსა და ყოველგვარ შინაარს მოკლებულ, რომელმაც იმედი გაუცრუვა თვით სლივინსკის მომხრეებსაც კი. სლივინსკის ერთად-ერთი დამცველად გამოვიდა დაშინსკი, რომელმაც აღნიშნა, რომ რაპალოს ხელშეკრულება წარმოადგენს მუდმივ საფრთხეს, პოლონეთისათვის. იმ ორატორების სიტყვის დროს, რომელნიც ლაპარაკობდნენ სლივინსკის საწინააღმდეგოთ, მემარჯვენეებმა გამართეს ობსტრუქცია. თავმჯდომარე იძულებული გახდა შეეწყვიტა სხდომა.

**ვერსალის ხელშეკრულებ.**

**მოსკოვი,** 9 ივლისი. ამერიკის შეერთებულ შტატთა სახელმწიფოების კონგრესმა დაადგინა მ[illegible] მოთხოვნილებით, ბილის თავის თავზე ინიციატივა ვერსალის ხელშეკრულების განახლების დაწყების შესახებ.

**„ხალხის თავისუფლებ“.**

**მოსკოვი,** 9 ივლისი. ჩიკაგოში პროპაგანდის გამო 19 კაცს სჭს მიუსაჯეს ხანგრძლივი დაპატიმრება.

**ციმბირის ევაკუაცია.**

**მოსკოვი,** 9 ივლისი. რობერტ სესილმა განაცხადა ინგლისის პარლამენტში, რომ ინგლისის მთავრობამ მიიღო ოფიციალურად ცნობა იმის შესახებ, რომ იაპონელებმა გადასწყვიტეს 1 ოქტომბრისათვის მოხსნან ციმბირის ევაკუაცია.

**ქვანახშირის მაღაროს მუშაკთა კონფერენცია ამერიკაში.**

**მოსკოვი,** 9 ივლისი, გაზეთი „მორნინგ პოსტი“ იტყობინება, რომ პრეზიდენტმა ჰარდინგმა მოიწვია ქვანახშირის მაღაროების მუშებისა და მეპატრონეების შეერთებულ კონფერენციას, სადაც იგი მოუწოდებდა მათ კონფლიქტის ლიკვიდაციისაკენ. მაღაროების მეპატრონეები თანხმდებოდნენ მუშებთან მოლაპარაკებაზე მხოლოდ ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციების საშუალებით. ეს უკანასკნელები მოითხოვდნენ ქვანახშირის მაღაროს მუშათა ცენტრალური ორგანიზაციებთან მოლაპარაკებას. შეთანხმება არ მოხდა.

**ბ რ ა ზ ი ლ ი ა შ ი.**

**მოსკოვი,** 5 ივლისი. ბრაზილიაში თავი იჩინა სამხედრო არეულობამ. ჯარის ნაწილი აუჯანყდა მთავრობას.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით აჯანყება საბოლოოდ ჩაქრა. რიო დე-ჟანეიროში გამოცხადებულია საალყო მდგომარეობა.

**მარტი და ბადენის ამბავი.**

**მოსკოვი** 9 ივლისი. საფრანგეთის პარლამენტში გავრცელებულია ხმები მარტი და ბადენისა და სხვ. მინისტრის შესახებ, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ შავი ზღვის ფლოტის აჯანყებაში. ეს ამნისტია გამოცხადდება ბასტილიის აღების დღის დღესასწაულზე.

**ს წ ო რ ი ა**

**ბერნი.** 8 ივლისი. მამული კონოპიცი, რომელიც ეკუთვნოდა ერცჰერცოგს ფრანც-ფერდინანდს, გადაკეთებულია ტყის მოვლის სკოლად.

**სლავინსკის დეკლარაცია**

**ბერლ.** 8 ივლისი. პრემიერმა სლავინსკიმ გამოაქვეყნა სეიმში ახალი კაბინეთის დეკლარაცია, რომელშიაც განცხადებულია, რომ ახალი კაბინეთის პოლიტიკის მთავარ პრინციპად ცნობილია წინანდელი კაბინეტის პოლიტიკა. ყურადღება ექნება მიქცეული საფრანგეთთან კავშირის შენარჩუნების და აგრეთვე მცირე ანტანტასა და ბალტიის სახელმწიფოებთან დაახლოვების.

**ემიგრანტები**

**ბერლი.** სენატორმა ფრანსმა შეიტანა კანონპროექტი, რომლის ძალით შეერთებული შტატების პრეზიდენტს უფლება ეძლევა მისცეს პოლონეთს 6 სამხედრო გემი, რომელიც დარჩენილია რეზერვში.

**რუსეთი და ევროპა**

**ნაუენი.** 8 ივლისი. რუსეთის დელეგაციის წევრი ჰააგაში სოკოლნიკოვი ხაზს უსვამს, რომ ის წრეები, რომელიც ჯერ კიდევ ძველად იყვნენ დაინტერესებულნი რუსეთის მრეწველობით და აგრეთვე ის ბანკები, რომელთაც ხელი მოაწერეს რუსეთის მეფის მთავრობის სესხს,—ცდილობენ ხელი შეუშალონ სესხის საკითხის შესახებ ახალი შეთანხმების ცდას.

**კრასინის ჩასვლა**

**ნაუენი.** 8 ივლისი. კრასინი ჩავიდა ჰააგაში.

**გერმანიის სამთო მუშათა შორის.**

**მოსკოვი.** 10 ივლისი. სამთო მუშათა პროფ-კავშირის ვოხუმის კონფერენციამ გვაჩვენა სრული ერთსულოვნება მაღაროს მომუშავეთა სამუშაო ხელფასის საკითხში.

**მუშები მილიციაში.**

**მოსკოვი.** 10 ივლისი. საქსონიის მინისტრმა ლეპინსკიმ დამოუკიდებელთა პარტიის წევრმა, შინაგან საქმეთა კანონ პროექტი საქსონიის სოციალ-დემოკრატიულ და რაზმებით ძალა ეხების შესახებ. მინისტრმა ამ რაზმების მოსაწყობად გამოითხოვა 10 მილ. მარკის კრედიტი. კომუნისტები მოითხოვს ლეპინსკი. 3 ნინ 3 პროცენტის იმ ფირმით შეცვლას, რომ ფაქტიურად ასეთი პოლიციელზე მოდიოდეს 200 შეიარაღებული მუშა.

**უმუშევრობა ნორვეგიაში.**

**მოსკოვი.** 10 ივლისი. ქრისტიანიიდან იტყობინებიან, რომ მთავრობის განზრახვამ უმუშევართა დახმარების შემოღების შესახებ გამოიწვია ქრისტიანიაში დიდი აღელვება. უმუშევართა მრავალ-რიცხოვანმა კრებამ პროტესტი განაცხადა ამის წინააღმდეგ. 10 ივლისისათვის დანიშნულია უმუშევართა დემონსტრაცია რიკსტადის შენობის წინ.

**ვინ დაიწყო ომი?**

**მოსკოვი.** 10 ივლისი. საფრანგეთის პარლამენტში საერთაშორისო ომის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვის დროს, კომუნისტებმა კაშენმა და ლაფონმა და სოციალისტ ბლუმმა განაცხადეს, რომ ომი დაიწყო საფრანგეთის მთავრობამ. პუანკარემ პროტესტი განაცხადა და ამტკიცებდა, რომ პასუხი ომის დაწყების შესახებ უნდა აგოს გერმანიამ. მემარჯვენე ფრთის ლიდერმა ფრიემ პროტესტი განაცხადა საფრანგეთზე აგრეთი ცილის წამების წინააღმდეგ. პუანკარეს ნდობა გამოუცხადეს. სოციალისტების მოთხოვნილება ომის პასუხისმგებელთა გამომძიებელი კომისიის დაარსების შესახებ უარყოფილ იქნა.

**საერთაშორისო ბრძოლა ეპიდემიის წინააღმდეგ**

**მოსკოვი.** 10 ივლისი. ინგლისის ჯანმრთელობის მინისტრმა მონდმა აცნობა სამეფო მედიკურ საზოგადოებას, რომ მან შეიმუშავა პროექტი საერთაშორისო დახმარებისა ეპიდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც გავრცელდება რუსეთის საზღვრებს და ემუქრება მთელ ევროპას.

**ინგლისი და გერმანია.**

**მოსკოვი.** 10 ივლისი პარლამენტში იმ შეკითხვის საპასუხოდ—აქვს თუ არა ინგლისის ელჩს მიცემული ინსტრუქციები იმ პოზიციის შესახებ, რომელიც მან უნდა დაიკავოს გერმანიაში, იქ მომხდარი აჯანყების გამო,—ლლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ ინგლისის ელჩი ბერლინში არის მუდმივ კონტაქტში ინგლისის მთავრობასთან. თუ პირობები გერმანიაში ხელსაყრელი შეიქნება რევოლიუციონური მოძრაობისათვის, რომელიც ხელს შეუშლის ხელშეკრულების ვალდებულებათა შესრულებას, მოკავშირეებს შეუძლიათ ამ ფაქტს შეხვდნენ გულგრილად.

**ხელშეკრულება განიარაღების შესახებ.**

**მოსკოვი.** 10 ივლისი რობერტ სესილმა შეიტანა ერთა ლიგის კომისიაში განიარაღების ხელშეკრულების პროექტი. ამ პროექტის თანახმად, ერთა ლიგის წევრ სახელმწიფოში შემდეგი სამხედრო ძალა უნდა ყავდეს: თუ საშხედრო ერთეულად მივიჩნევთ 30 ათას კაცს, პოლონეთს უნდა ყავდეს ორი ერთეული, ბელგიას, დანიას, შვეციასა და ნორვეგიას—ორი, რუმინიას, ისპანიას და შვეიცარიას—სამ-სამი ერთეული, საბერძნეთს, იტალიასა და პოლონეთს—ოთხი და საფრანგეთს—ექვსი ერთეული.

**გაფიცვა იტალიაში**

**მოსკოვი.** 10 ივლ. იტალიის მოხელეთა გაერთიანებულმა კავშირმა დაუგზავნა ყველა თავის ორგანიზაციებს ინსტრუქციები გაფიცვის გამოცხადების შესახებ, რადგანაც მთავრობამ უარი განაცხადა სამუშაო ხელფასის საკითხის გადასინჯვაზე.

**გერმანიის ამბების გამო**

**მოსკოვი.** 10 ივლ. კელნიდან იტყობინებიან, რომ დემონსტრაციის დროს მუშებს სურდათ ვილჰელმის ქანდაკების დამსხვრევა, მა რამ ინგლისის პოლიციის საქმეში ჩარევის გამო მათ ეს ვერ შესძლეს.

**ესერები საზღვარ გარეთ**

**მოსკოვი.** 10 ივლ. რუსი ესერების წარმომადგენლები საზღვარ გარეთ აგროვებენ პროტესტის ხმებს იმის შესახებ, რომ უცხოელ დამცველთა რუსეთიდან წამოსვლის შემდეგ, საბჭოთა მთავრობას სურს მოაწყოს ლინჩის სასამართლო ბრალდებულ ესერებზე. ამ გვარი დეპეშა გაუგზავნეს ესერებმა გაზ. „პეპლის“ რედაქციას. დეპეშას ხელს აწერს ცენზინოვი, რუდნევიჩი, რუსანოვი, სუხომლინი და ჩერნოვი.

**გერმანიის მთავრობის სტრუქტურა**

**მოსკოვი.** 10 ივლ. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ ესდეკების (უმრავლესობის) მოლაპარაკება მემარჯვენე დამოუკიდებლებთან, შტრებერთან, მთავრობაში შესვლის საკითხის შესახებ, ჯერ-ჯერობით არავითარ შედეგს არ იძლევა. ცხადია, ან მარცხდება.

გაზ. „ფორვერტსი“ და „ფრეიხეიტი“ შემდეგი მრავალ წერილებს კოალიციის შესახებ ბოლოს წინ იწყება „ფორვერტსი“ იწერება პარლამენტის დათხოვნით. „ფრეიხეიტი“ იმუქრება საეხლის მძაფრელი შეტაკებებით იმ შემთხვევაში თუ დამოუკიდებლებს არ მისცემენ ადგილს მთავრობაში. გაზეთი „როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ დამოუკიდებლების მთავრობაში შესვლა იქნება ახალი სამარცხვინო ფაქტი პროლეტარიატის ღალატისა.

**ლლოიდ-ჯორჯი გერმანიის მუშების შესახებ**

**მოსკოვი** 10 ივლისი. ლლოიდ ჯორჯმა მიიღო რა ინგლისელ მეკრავეთა დეპუტაცია, გამოთქვა საშიშროება გერმანული მარკის კურსის დაცემის შესახებ. გერმანიის მუშის ხელფასი საზარელთ უფრო მცირეა ინგლისის მუშის სამუშაო ხელფასზე. ლლოიდ-ჯორჯის აზრით, მოლაპარაკება უნდა იქნეს ზომები გერმანიის კონკურენციის მოსასპობად, რადგანაც იგი არ არის ხელსაყრელი ინგლისის მრეწველობისათვის.

**ამხ. ლოზოვსკი საფრანგეთის შრომის კონფედერაციის კონგრესზე.**

**მოსკოვი.** 9 ივლისი. ამხ. ლოზოვსკის გამოჩენა საფრანგეთის შრომის კონფედერაციის კონგრესზე სენტ ეტიენში გამოიწვია ცხარე გალაშქრება საფრანგეთის მრეწველი პრესის პოლიციის წინააღმდეგ, რომელიც ბრალს სდებენ იმაში, რომ იგი სათანადო სიფხიზლეს ვერ იჩენს. პრესის ამ გამოლაშქრებამ აიძულა პოლიცია შედგომოდა საქმის გამოძიებას. ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ პოლიციას ქონდა ლოზოვსკის სურათი წვერებით, რომელიც მან გაიპარსა კონგრესზე გამოსვლის წინ. ლოზოვსკი ჩავიდა პარიზიდან სენტ ეტიენში ავტომობილით და შევიდა სხდომის დარბაზში ფრანგ კომუნისტების მიერ გარშემორტყმული. თავის სიტყვის დასრულების შემდეგ, ლოზოვსკი გაქრა ისე 3 რიზი, სადაც მისი კვალი დაიკარგა.

**გერმანიის მბეჭდავთა გაფიცვის შესახებ.**

**მოსკოვი.** 9 ივლისი. ბერლინის მბეჭდავთა გაფიცვის გამო შეჩერდა ფულის ნიშნების დამზადება, რომლის ნაკლებობასაც მწვავედ გრძნობენ გერმანიაში. მთავრობამ მოლაპარაკება დაიწყო გაფიცულებთან ფულის ნიშნების ბეჭდვის განახლების თაობაზე, რაც აუცილებელია მთავრობებისათვის ანგარიშების გასასწორებლად.

# რუსეთი

**საბაჟო ტარიფი ევროპის ვაჭრობაში.**

**მოსკოვი.** ივლისის 1. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა საექსპლოტაციო საქონელზე საბაჟო ტარიფი და შეიმუშავა სია იმ პროდუქტებისა, რომელთა საზღვარ-გარეთ გატანა აკრძალულია. ყველაზე უფრო დიდი ბაჟი დაწესებულია საქონელზე და ქურქზე, ხოლო ყველაზე უფრო მცირე ხეტყის მასალაზე წებოზე, კუპრზე, ხის ნახშირზე და სხვ. სავსებით განთავისუფლებულია ბაჟისაგან შემდეგი პროდუქტები: ნავთი როგორც ნედლი მასალაა, ისე გადამუშავებული, რკინის მადანი; რკინის, თუჯისა და ფოლადის ნატეხები; აკრძალულია გატანა იარაღის, ასაფეთქებელი მასალის, სატელეგრაფო და სატელეფონო ქონების, ხელოვნებისა და სიძველეთა საგნების, ავტო-ქონების და აგრეთვე გაუქმებული ფასიანი ქაღალდების, მფლობელობითი ხასიათის დოკუმენტების, რომელნიც გაცემული იყვნენ 1917 წლის 7 ნოემბრამდე და ყველა იმ აქტებისა, რომელიც შეიცავენ უძრავ ქონებაზე უფლების გადაცემას.

**მელითონეთა სრულიად რუსეთის კავშირის მეხუთე წლის თავი.**

**მოსკოვი.** 7 ივლისს, მელითონეთა მუშების სრულიად რუსეთის კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა შემდეგი მოწოდება, რომელიც მიმართულია ყველა საოლქო ბიუროებისადმი, [illegible] კომიტეტებისადმი, ქვერაიონულ კომიტეტისადმი, [illegible] მელითონეთა სრულიად რუსეთის კავშირის წევრებისადმი [illegible] ამხანაგებო 10 ივლისს, მელითონეთა სრულიად რუსეთის კავშირის არსებობის ხუთი წლის თავზე მელითონეთა სრულიად რუსეთის კავშირის ცენტრალური კომიტეტი გიგზავნით თქვენ მხურვალე სალამს და გისურვებსთ წარმატებით მუშაობას. ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ მელითონეთა კავშირი კვლავაც იქნება რუსეთის პროფესიონალურ მოძრაობის ავანგარდი და შესძლებს საუკეთესოდ გადასწყვიტოს შრომის დაცვის და ლითონის წარმოების განმტკიცების და საერთაშორისო მუშათა კლასისათვის მის რევოლიუციონურ მოძრაობაში დახმარების ამოცანები.

**ახალი აღმოჩენა.**

**მოსკოვი.** 1 ივლისი. ციმბირის გაზეთები იტყობინებიან, რომ ალტაიში აღმოაჩინეს ახალი ძვირფასი მინერალი—ნემალიტ. ნემალიტიდან ადვილად მისაღებია ლითონის მაგნიი. ამ მინერალს დიდი მრეწველობითი მნიშვნელობა აქვს, რომელიც გამოსადეგია რადიო-დეპეშების საქმეში, რადგანაც მას განსაკუთრებული თვისება აქვს მოსპოს ელექტრო-მაგნიტური ტალღები. თითქოს ერთად-ერთი მომწოდებელი ნემალიტისა იყო გობოკენი ჩრდილო-ამერიკაში, მაგრამ იქაური მინერალი არ იყო წმინდა და შეიცავდა დაახლოვებით 5 პროც. რკინისას, როგორც მავნე ნაწილს. ეს აღმოჩენა ამტკიცებს, რომ ამ მადნის მთავარი ბინა ალტაიშია. ალტაის ნემალიტი შესანიშნავია თავის სიგრძითა და დიდი სისუფთავით ამერიკულთან შედარებით.

**ეკლესიის განმაახლებელნი.**

**მოსკოვი.** 1 ივლისი. მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი მმართველობა ამ უკანასკნელ ხანებში იღებს ცნობებს იმის შესახებ, რომ „სალი ეკლესიის“ იდეა თანდათან ვრცელდება პროვინციებში. მთელი ციმბირი თანაუგრძნობს ახალ ეკლესიას და მისი იდეის გამომხატველს და მეთაურათ მიაჩნია ეპისკოპოზი ანტონინი. ეს უკასკნელი იციან აგრეთვე აღმოსავლეთის ყველა პატრიარქატების წარმომადგენლებმა და საზღვარ გარეთ მყოფმა მართლმადიდებელ ყველა ჯგუფებმა და სამღვდელოებამ. ამის გამო საეკლესიო უმაღლესმა მართველობამ დაადგინა აკურთხოს ეპისკოპოზი ანტონინი არქიეპისკოპოზათ, არქიეპისკოპოზს ანტონინს წინადადება მიეცა მომავალში იწოდებოდეს მოსკოვის არქიეპისკოპოზათ.

**ოსმალეთის სახ. ჯანმრთელობის კომისრის ჩამოსვლა.**

**მოსკვი.** 7 ივლისი. მოსკოვში ჩამოვიდა ოსმალეთის ჯანმრთელობის სახ. კომისარი და საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ექიმი რიზა-ნური ბეი დიპლომატიური მინდობილობით და ქემალ-ფაშის პირადი ბარათით ამხ. ლენინის სახელზე.

რიზა-ნური-ბეიმ ინახულა გარეშე საქმეთა სახ. კომისრის მოადგილე ამხ. კარახანი და მასთან ისაუბრა 2 საათზე მეტი.

# ახალი ამბები

— **სწავლის შეწყვეტა** თამარ თაქთაქიშვილის I უცხო ენების კურსებზე შესწყდა საზაფხულოდ სწავლა 20 სექტემბრამდე.

— **აფხაზეთის სტუდენტ—სტიპენდიანტები.** სოხუმიდან ტფილისში დაბრუნდნენ აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკის სახ. კომ. საბჭოს სტუდენტ—სტიპენდიანტები. გასულ წელს რევკომმა გადასცა სტიპენდიანტებს 2 ათასი ფუთი თამბაქო და სტიპენდიანტთა რიცხვში ჩარიცხა 106 კაცი. ფაქტიურად სწავლობდა 97 კაცი, თითქმის ყველა აფხაზეთის მკვიდრნი. სამოსწავლო რვა თვის განმავლობაში თითოეულ სტიპენ.

ფიანტმა მიიღო 24 მილ. მან, სტუდენტები სცხოვრობენ ორგანიზაციულად, ყავთ საკუთარი გამგეობა, რომელიც ანაწილებს სტიპენდიას და სხვ. ურთიერთ დახმარების კასაში შეგროვდა 102 მილ. რომლითაც დაკმაყოფილებული იქმნა 68 კაცი. სტიპენდიანტთა შორის უმაღლესი განათლება დაასრულა დამხლოვებით 10 კაცმა.

— **მოსავალი კახეთში.** სიღნაღის და თელავის მაზრებში პურის მოსავალი ყველგან კარგია. სიმინდსაც კარგი პირი უჩანს. დათესილ მინდვრების რაოდენობა იმდენად საგულისხმოა წრეულს, რომ მოსალოდნელია ზედმეტი პურის დაგროვება. ქერის აკრეფა თავდება და დაწყებულია პურზე მუშაობა. სამწუხაროდ უკანასკნელ ხანებში წვიმებმა ხელი შეუშალა მოსავლის აკრეფას.

— **ქალაქის მეურნეობა.** სასტუმრო „ინტერნაციონალი" თავისი 27 ნომრებით ტფ. აღმასკომის მუნიციპალური მეურნეობის მიერ გაცემულია იჯარით 65 მილ. მან. თვეში.

— **წყალხადენი,** უკანასკნელ წვიმების მიზეზით შესანიშნავად ადიდდა მდ. გსანკა, 1½ საჟ. სიმაღლეზე. ადიდებული მდინარე ეცა ქალაქის წყალსადენის ხამუშაო არხს აფხაზეთში, მაგრამ თავის დროზე მიღებულ ზომების წყალობით, არავითარი ზიანი არ მომხდარა.

— **ბრძოლა მავნეებთან.** მეჯვრისხევის რაიონში, სოფ. ახსირში, ერთ ადგილას გაჩნდა ნათესის მავნე მფრენავი ჰიები. ბზიან დარში ჰიები იწევიან ზევით თავთავებისაკენ, ხოლო ცუდ ამინდში ეშვებიან მიწაზე. ადგილობრივ აღმასკომის მიერ ზომების თავის დროზე მიღებით ყანები გადარჩა დაზიანებას. დანარჩენ ადგილებში მავნე ჰიები არ აღმოჩენილან. როგორც გლეხები ამბობენ, ეგ ჰიები საშიშია, სან მ არ დამწიფდება პური.

— **ხასურხათო გადასახადისათვის.** ქ. გორში ივლისის 5 ს შესდგა სამაზრო კომისია სასურსათო გადასახადის წარმოებისათვის, რომელშიაც შედიან: აღმასკომის თავმჯდომარე და სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი.

## სამხატვრო ქრონიკა

**ფრანგი პოეტები.** გამოდის „ცისფერ ყანწების" რედაქციით „ფრანგი პოეტები". წიგნში მოთავსებული იქნება ცნობილი ფრანგი პოეტების ნაწერები. წიგნს ერთვება დახატნებული ვალოტონის მასკები და ბიოგრაფიები.

— **სალიტერატურო ალმანახი.** მოკლე ხანში გამოიცემა დიდი სალიტერატურო ალმანახი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ქართველი მწერლები და პოეტები განურჩევლად ლიტერატურულ მიმართულებისა.

— **ხალხური ზეპირსიტყვაობა.** სახელოვნო კომიტეტი აპირებს დასაბეჭდათ დიდ ტომებად ქართულ ზეპირ სიტყვაობას. ტომებში შევა უკვე დაბეჭდილ ქართულ ჟურნალ გაზეთებში და და მრავალი გამოუქვეყნებელი მასალები, აგრეთვე მიღებულია ყოველი ღონისძიება ახალი მასალების ჩასაწერად.

— **ლატარეა ხელოვანთა სახლისათვის.** საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა შეიმუშავა მოხსენება მთავრობასთან წარსადგენათ ხელოვანთა სასახლის მოწყობისა და გამომცემლობისათვის ათი მილიარდი მომგებიანი ლატარეის გამოშვების შესახებ.

— **წიგნის მაღაზია.** ერთ ჯგუფს ქართველი პოეტებისას განზრახული აქვს რუსთაველის პროსპექტზე გახსნას წიგნის მაღაზია. მიღებულია ღონისძიება, რათა საზღვარ გარეთიდან შემოტანილ იქმნას ტრანსპორტი უცხოეთის ლიტერატურის.

— **სახელმწიფო გამომცემლობანი.** შესდგა კომისია ფ. მახარაძის, მამია ორახელაშვილის, მარიამ ორახელაშვილის, ა. თუმანიშვილის და რაჟდენ კალაძის შემადგენლობით სახელმწიფო გამომცემლობის ახალ დონეზე დაყენებისთვის.

— **ხაზართა სასძლო.** დაიბეჭდა და გასაყ. გამოვიდა ვასილ ბარნოვის დიდ ტანიანი ახალი რომანი (120 გვ.) „ხაზართა სასძლო", სიუჟეტი აღებულია 8 საუკუნიდან, როცა არაბებისაგან დაპყრობილ საქართველოს კავშირს ეძებს დიდი ხაზარეთი არაბებისავე წინააღმდეგ. რომანის მთავარი გმირად გაზოყვანილია წმ. არჩილ მეფის ასული შუშანა.

— **იაკობ ნიკოლაძე.** მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე ამ სეზონში იჩენს დიდ მუშაობის უნარს: ამზადებს მთელ რიგს ქართველ პოეტების ბიუსტებისას. ჯერ ჯერობით გათავებულია მხოლოდ პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილის ბიუსტი.

## პარტიაში

— დღეს, ორშაბათს 11 ივლისს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია სასწრაფო სხდომა მთავარი კომიტეტის. სავალდებულოა ყველა წევრების დასწრება. **მთავარი კომიტეტი.**

ოთხშაბათს 12 ივლ. საღამოს 6 საათზე დანიშნულია მთავარ კომიტეტის სასწრაფო სხდომა. სავალდებულოა ყველა წევრების დასწრება.

**მთავარი კომიტეტი.**

**ბათუმი.** ივანე ბარამიძეს. დღეს ვე გიგზავნებათ ყველაფერი ფოსტით.

სამშაბათს, 11 ივლისს პარტიის ცენტრალურ ბიუროში, საღამოს 6 ს. შესდგება ახალგაზრდათა კავშირის გამგეობის სხდომა. ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს მემარცხენე სოციალისტ ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ბათომის საქალაქო კომიტეტი ამით აცხადებს პარტიულ ამხანაგების საყურადღებოთ, რომ ის ამხანაგები, რომლებიც არ არიან რეგისტრაციაში გატარებული, ვსთხოვთ დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ რეგისტრაციაში გასატარებლათ ივანე ბარამიძესთან ან სამსონ ებრალიძესთან 3 საათიდან 4 საათამდის ბაქოს ქუჩა № 70.

## თესვის კომიტეტის კრილობა.

საწყლო ქვეგანყოფილების მოხსენების შემდეგ, მოხსენებით გამოვიდა ამხ. ავალი თესვის ფონდის შესახებ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ თესვის საგაზაფხულო კამპანიის მიერ 1921 წ. დარიგებულ იყო 69318,5 ფ. სათესლე, შემოდგომის კამპანიისთვის ამავე წელში 260,000 ფ. ხორბალი. ა. წ. საგაზაფხულო კამპანიისათვის დარიგდა 306,000 ფ. და მოლ. ის კიდევ 10.000 ხორბალი, მიღებული სასურსათო კომისარიატისგან. სულ კი მცხოვრებლებს დაურიგდა 407.818,5 ფ. სათესლე ხორბალი.

მომხსენებელი მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ ზომები იქნეს მიღებული მოსავლის შეკრებისათვის. იგი აღნიშნავს შეკრების საშუალებებს, შეხახვის პირობებს და სხ. და ხაზს უსვამს სათესლე ფონდის შექმნის საჭიროებას.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ამორჩეული იქმნა 11 კაცისგან შემდგარი კომისია, რომელსაც მიენდო ინსტრუქციის შემუშავება სათესლე ფონდის შექმნის შესახებ.

7 ივლისის კრილობის საღამოს სხდომა არ შემდგარა, რადგან კომისია მუშაობდა ფონდის ინსტრუქციის შესახებ.

**ახალციხის მაზრა.** ამ მაზრაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ზაიბურტსკი. თესვის ხელმძღვანელ ცენტრიდან გაზაფხულზე მიღებული იყო მინდვრების დასათესად 17779 ფ. 23 გ. სიმინდი (წმინდა წონა) და 2392 ფ. 5 გ. ავსტრალიის ხორბალი, რომელიც გადაცვლილ იქმნა ქერსა და სხვ. სათესლეზე 1 ფ ხორბალში 1 ნახ. ქერის მიღებით და აგრეთვე 410 ფ. 15 გ. ხხვ. და სხვ. მარცვლეულობა, მიღებული მცხოვრებთაგან 1921-წლის სესხის გასტუმრების სახით, აგრეთვე 1041 ფ. ქერი იქმნა მიღებული ახალციხის სამაზრო სასურსათო კომისარიატისაგან.

— **ბორჩალოს მაზრა.** ამ მაზრის შესახებ მოხსენებას აკეთებს თესვის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე აგრონომი ტენკოვსკი. გაზაფხულზე ცენტროთესვიდან მიღებული და დარიგებული იყო 5 831 ფ. ავსტრალიის ხორბალი, 8860 ფ. 15 გ. სიმინდი, 48 ფ. 22 გ. ქერი 319 ფ. 14 გ. ქართოფილი, შვრია 1 ფ. 2,5 გ. და სხვ. პირნახული დათესილია 5261 დეს. და კართოფილით 3 დეს. სულ მთელს მაზრაში, როგორც გლეხების საკუთარი სათესლეთი, ისე დარიგებულით დათესილია 20894 ნახ. დეს. რაც შეადგენს 55 პროც. გლეხის სახნავ მიწისას. მდგომარეობა საზამთრო ნათესის საშუალოზე უკეთესია; სიმინდი გვპირდება კარგ მოსავალს. სეტყვისაგან და გოლვისაგან დაზიანდა მთელს მაზრაში 1217 დეს. ზამთრისა და გაზაფხულის ნათესები...

— **თიანეთის მაზრა.** მაზრის თესვის კომიტეტის თავმჯდომარე აგრონომი საფარაოვი აკეთებს მოხსენებას; იგი ამბობს, რომ დარიგებულია მაზრაში ავსტრალიური ხორბალი 2825 ფ., ადგილობრივი ხორბალი 245 ფ., ქერი 372 ფ. და ამერიკული სიმინდი 1621 ფ და ადგილობრივი—1085 ფ. საზოგადოთ ნათესის მდგომარეობა საშუალოზე უკეთესია. ავსტრალიის ხორბლის თესვის ცდამ მოგვცა კარგი შედეგები.

— **ხენაკის მაზრა.** სენაკის მაზრის თესვის კომიტეტის თავმჯდომარე აგრონომი ჯაფარიძე თავის მოხსენებაში გვაცნობებს, რომ ცენტროთესვიდან მიღებული იყო მინდვრების დასათესად 4903 ფ. ავსტრალიური ხორბალი, 1005 ფ. ქერი და სიმინდი 12072 ფ. 10 გ. ამასთანავე ხორბალი და ქერი გადაცვლილ იქმნა სიმინდზე. სულ დათესილია ამ სათესლეთი 6000 დეს., რაც შეადგენს 0,1 სათესი სახნავი მიწებისას. 1921 წელთან შედარებით დასერილი მიწები გაიზარდა 22192 დეს. სათესი სივრცე ნახნავი მიწების უდრის 56951.5 დეს. მოსავალი იქნება კარგი. გლეხობა ძლიერ კმაყოფილია მთავრობის დახმარების აღმოჩენისათვის და შეეცდება მიცემული სათესლე ხორბლის უკანვე 10—20 პროც. დამატებით დაბრუნებას.

— **ქუთაისის მაზრა.** მომხსენებელია მაზრის თესვის კომიტეტის თავმჯდომარე აგრონომი მაჭავარიანი. გაზაფხულზე 1921 წ. დაურიგეთ 4295 ფ. სიმინდი, შემოდგომაზე—1926 ფ. 22 გ. სიმინდი. მიმდინარე წლის გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარებისათვის მივიღეთ ცენტროთესვიდან 4729 ფ. 20 გ. ავსტრალიის ხორბალი და 7359 ფ. 21 გ. სიმინდი. სახნავი მიწის სივრცე მაზრაში უდრის 80.000 დეს. 1917 წელში დათესილ იყო 49863 დეს., 1921 წელში 5-დან 55 ათას დესეტინამდე; მიმდინარე წელში 70.000 დეს. მთელი მიწის დათესვას ამ წელში ხელი შეუშალა გოლვამ. ცენტროთესვის საშუალებით დათესილია 7461 დეს. ე. ი. ცოტა მეტი 10 პროც. წვიმები ზოგან იყო. სადაც ხშირი წვიმები იყო მოსავალი საშუალოზე უკეთესი იქნება. თაგვმა ცოტა დააზიანა ნათესი.

## მთავრობის მოქმედ. და განკარგულებანი

### დადგენილება № 34.

**სრულიად საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.**

სახელმწიფო საწარმოო და სხვა დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა საკომპენსაციო ნორმების შესახებ სამსახურიდან დათხოვნისათვის.

1. ყველა სახელმწიფო საწარმოო და სხვა დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეს, რომელიც დათხოვნილ იქნება სამსახურიდან არა თავისი ნებით (შტატის შემცირებისა, საწარმოო დაწესებულების დახურვისა და მისი ნაწილობრივი ლიკვიდაციის გამო) უნდა გამოეცხადოს ამის შესახებ ორი კვირით ადრე დათხოვნამდე.

**შენიშვნა:** უკეთუ ამა მუხლში წინასწარი განცხადება დასათხოვნ მომუშავეს არ ემცნო, მას უნდა მიეცეს დახმარება სამსახურიდან გასვლისათვის ორი კვირის სასყიდლის რაოდენობისა.

2. სამსახურის უკანასკნელ ვადათ მუშა-მოსამსახურისათვის ჩაითვლება მუშაობის ფაქტიურად დატოვების დღე.

3. ამა დადგენილების გამოცემამდე არსებული ყველა დებულება ამ საგანზე გაუქმებულია.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1922 წ. ივლისის 6.

ტფილისი—სასახლე.

### დადგენილება № 35.

**საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

საკონცესიო, საიჯარო და კერძო საწარმოო დაწესებულებისა მუშა-მოსამსახურეთა საკომპენსაციო ნორმების შესახებ სამსახურიდან დათხოვნისათვის.

1. ყველა საკონცესიო, საიჯარო და კერძო წარმოებათა, დაწესებულებათა და მეურნეობა მუშა-მოსამსახურეს, რომელიც დათხოვნილ იქნება სამსახურიდან არა თავისი ნებით (შტატების შემცირებისა, საწარმოო დაწესებულების დახურვისა ან მისი ნაწილობრივი ლიკვიდაციის გამო) უნდა განეცხადოს ამის შესახებ ორი კვირით ადრე დათხოვნამდე.

**შენიშვნა:** უკეთუ ამა მუხლში აღნიშნული წინასწარი განცხადება დასათხოვნ მომუშავეს არ ემცნო, მას უნდა მიეცეს კომპენსაციად ორი კვირის სასყიდლის რაოდენობა.

2. ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული წესით დასათხოვნ მუშა მოსამსახურეს უფლება აქვს გარდა საწინასწარ განცხადებით დახმარებისა მიიღოს სალიკვიდაციო გასამრჯელო ერთი თვის სასყიდლის რაოდენობისა თვითეული ნამსახური წლისათვის,—როცა სამსახური ორ წლამდეა, და ნახევარი თვის სასყიდლის რაოდენობისა თვითეულ ნამსახური წლისათვის, როცა სამსახური ორ წელს აღემატება; ამასთანავე სალიკვიდაციო გასამრჯელო არ შეიძლება იქნეს ორი კვირის სასყიდელზე ნაკლები და ოთხი თვის სასყიდელზე მეტი; არა სრული წლისათვის სალიკვიდაციო გასამრჯელო გამოითვლება თვითეული ნამსახური თვისათვის სასყიდლის ნორმის 1/12 ანგარიშით.

3. სალიკვიდაციო გასამრჯელოს გამოანგარიშება სწარმოებს უკანასკნელი დროის შრომის ხელფასის მიხედვით ყველა დამატებითი სარგოთი.

4. მუშა-მოსამსახურის მუშაობის უკანასკნელ ვადათ ჩაითვლება ანგარიშის ფაქტიურად გასწორების დღე.

5. ამა დადგენილების გამოცემამდე არსებული ყველა დებულება ამ საგანზე გაუქმებულია.

6 დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ა. ხალარიძე.**

1922 წ. ივლისის 6.

ტფილისი—სასახლე.

### დადგენილება № 36.

**საქართველოს სოც. საბ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.**

მუშა-მოსამსახურეთა შვებულების მიცემის წესის შესახებ.

1. შრომის ყოველი დარგის მუშა-მოსამსახურე, რომელსაც სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კერძო საწარმოო და სხვა დაწესებულებაში და კერძო პირთან უმუშავნია განუწყვეტლივ არა ნაკლებ $5^1/_2$ თვისა, უფლება აქვს მიიღოს მორიგი შვებულება, რომლის განმავლობაში ეძლევა ყოველგვარი გასამრჯელო და აგრეთვე ჯამაგირი წინასწარ; ამასთანავე იმ პირს, ვისაც უმუშავნია არა ნაკლებ $5^1/_2$ თვისა—მიეცემა ორი კვირის შვებულება, ხოლო ვისაც უმუშავნია არა ნაკლებ 11 თვისა—ერთი თვის შვებულება.

**შენიშვნა:** განსაკუთრებულ შემთხვევაში (მინდვრების სამუშაოზე გაზგავნა და სხვ.) შეთანხმებელი კომისიის შეხედულებისამებრ მომუშავეს ნება ეძლევა [illegible] თავისი თვიური შვებულება ნაწილნაწილად [illegible] იმ პირობით, რომ შუამდგომლობის საფუძვლად წარმოდგენილ იქნეს სათანადო საბუთი, რომელიც დაადასტურებს შვებულების აღნიშნული დანაწილების აუცილებლობას.

2. შვებულების დროს გასამრჯელო გაცემულ უნდა იქნეს საშუალო ხელფასის მიხედვით, რომელსაც მომუშავე იღებდა სამი თვის განმავლობაში შვებულებამდე, ხოლო არა ნაკლებ თვიური სამუშაო გასამრჯელოსი, რომელიც მიიღო უკანასკნელ თვეს შვებულებაში წასვლამდე.

საშუალო სამუშაო ხელფასის გამოანგარიშებისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული: სატარიფო განაკვეთი, სასყიდელი ზედმეტ მუშაობისათვის, საპრემიო, ნაჭრობით მომუშავესათვის საშუალო სანაჭრო ხელფასი და შრომის სხვა გვარი სასყიდელი.

3. შვებულების მიცემა სწარმოებს სამსახურის მთელი წლის განმავლობაში მორიგეობის წესზე, რომელსაც განსაზღვრავს შეთანხმებელი კომისია, ხოლო ისე, რომ დარღვეულ არ იქნეს მუშაობის ნორმალური მსვლელობა.

4. მუშა მოსამსახურეს, რომელიც არ ისარგებლებს შვებულების უფლებას საწარმოო ან სხვა დაწესებულების მიზეზის გამო, მიეცემა კომპენსაციად სათანადო გასამრჯელო, რაც გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ამა დებულების მეორე მუხლის თანახმად; ამასთანავე კომპენსაციის მიცემა სწარმოებს 11 თვის მუშაობის შემდეგ.

**შენიშვნა:** სამსახურიდან დასათხოვნ მუშა-მოსამსახურეს, რომელსაც არ უსარგებლია შვებულების უფლება იმის გამო, რომ სამსახურის სრული კანონიერი ვადა არ შეუსრულებია, მიეცემა ლიკვიდაციის დროს კომპენსაცია საშუალო ხელფასის 1/12 ანგარიშით, თვითეული ნამსახური თვისათვის.

5. შვებულების სარგებლობა აღნიშნულ უნდა იქნეს ანგარიშის გასწორების წიგნაკში ან სხვა სათანადო დოკუმენტში.

6. დადგენილება ესე არ ეხება იმ შვებულებას, რომელიც მიცემულ იქნება ავადმყოფობის გამო სამკურნალო-საკონტროლო კომისიების მიერ; ამასთანავე ავადმყოფობის გამო მიღებული შვებულება ჩაითვლება სამსახურის ვადაში, რომელიც შვებულების უფლებას ანიჭებს.

7. ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან გაუქმებულია არსებული ყოველი დებულება ამ საგანზე.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1922 წ. ივლისის 6.

ტფილისი—სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

## ქალ. ტფილ. აღმასრულებელ კომიტეტის
## გადასახადთა ბიურო

აცხადებს, რომ კვირას 9 ივლის, დღით 12 საათზე, აღმასკომის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქვემოთ ჩამოთვლილ სასტუმროებისა:

1) მასის—სიონის ქ. № 8
2) ხაერო—ელისაბედის ქ. 25
3) პარიზი—თივის მოედანი, № 5
4) პეტროგრადი—პლეხანოვ. ქ. № 6
5) რივიერა—დიდი მთავრის ქ. № 1
6) კომერციული ნომრები—ირაკლის ქუჩა № 8

პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში მეორე ოთახში საჯარო მაგიდის გამგე დარახველიძესთან. 3—2



საქართვ. ც. ა. კ. საბჭ. პოლიგრ. განყოფ. № 2 სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა, 4.